პროექტი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის მე-3 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 29-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 153[3] მუხლის შენიშვნის მე-4 ნაწილის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესი, დანართის შესაბამისად.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესი დადგენილებას თან ერთვის)

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

იოსებ ხახალეიშვილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2023 წლის 29 ნოემბრის N------ დადგენილების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესი

მუხლი 1.

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის (შემდგომში – წესი) მიზანია განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) (შემდგომში – ქონება) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის პროცედურები.

2. კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონება წარმოადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.

მუხლი 2.

1. ამ წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ქონება ექვემდებარება პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლოდ გადაცემას იმ იურიდიული პირებისათვის, რომელთა საქმიანობის მიზანს წარმოადგენს სოციალურად დაუცველი, მზრუნველობამოკლებული, თავშესაფარში მცხოვრები ან სხვა გარემოების გამო სპეციალური საჭიროებების მქონე პირთათვის მომსახურების გაწევა/დახმარება.

2. ამ წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ის ქონება, რომელიც არ ექვემდებარება გადაცემას ან ვერ გამოვლინდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლებით ქონების მიმღები პირი, უნდა განიკარგოს ან განადგურდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სათანადო აქტის შედგენით.

მუხლი 3.

1. ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დაწესებულებისათვის ქონების გადაცემაზე უფლებამოსილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირი „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექცია“ (ს/კ: 412767830).

2. ქონების მიმღებს ქონება გადაეცემა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერენ ქონების მიმღებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირი „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ (ს/კ: 412767830) უფლებამოსილი წარმომადგენლი (თანამშრომელი).

იოსებ ხახალეიშვილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესი პროექტთან დაკავშირებით

ა) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში- პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 2023 წლის 20 სექტემბერს განხორციელდა ცვლილებები, კერძოდ: მუნიციპალიტეტის ორგანოს მიენიჭა უფლებამოსილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეადგინოს 153[3] მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებულ საქმეებზე. აღნიშნული მუხლის შენიშვნის მე-4 ნაწილით მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანომ უნდა დაადგინოს სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესი.

პროექტის მიხედვით არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციას“ მიენიჭება უფლებამოსილება განკარგოს უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონება.

ბ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

გ) პროექტის ავტორი:

დადგენილების პროექტის შემუშავებაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან ერთად, მონაწილეობდა ა(ა)იპ „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექცია“

დ) პროექტის წარმდგენი:

ა(ა)იპ „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი დემურ ინანეიშვილი

ე) დადგენილების პროექტის ინიციატორი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი

იოსებ ხახალეიშვილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი